პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 230
(6541)

1979 წ.
2 დეკემბერი
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მოჭადრაკეთა დიდი ფორუმი თბილისში

●

3 დეკემბერს თბილისის ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნება სსრ კავშირის ქალთა 39-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა. ასპარეზობის გახსნის წინ „ლელოს" კორესპონდენტს ესაუბრა სსრ კავშირის ქალთა 39-ე ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზინაიდა კვაჭაძე..

ქართველი ხალხი ოდითგან უდიდეს პატივს სცემს მამა-პაპათა ბრძნულ თამაშს. შემთხვევითი როდია, რომ ჩვენში ტრადიციად იყო ახალგაზრდა ქალისთვის მზითევში ძვირფასი ნაკეთობის ჭადრაკის გატანება. საქართველოში მუდამ აფასებდნენ ძლიერ მოჭადრაკეებს, უქებდნენ საზრიანობასა და რაინდულ სულს. ეს საუცხოო ტრადიცია დღესაც გრძელდება და ამიტომაც დიდი ენთუზიაზმით ხვდებიან თბილისელები ჩვენი დროის ცნობილ მოჭადრაკე ქალთა ასპარეზობის სტარტს.

ჩვენი ქვეყნის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი მსოფლიო რეზონანსის შეჯიბრებაა. ეს არც არავის უკვირს, რადგან თითქმის ყველა აღიარებული დიდოსტატი ქალი საბჭოთა მოჭადრაკეა. მართლაც, 39-ე ჩემპიონატის მონაწილეთა შორის არიან საჭადრაკო ელიტის საუკეთესო წარმომადგენელნი: ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონი მ. ჩიბურდანიძე, პრეტენდენტები ნ. ალექსანდრია, ე. ახმილოვსკაია, საზონათშორისო ტურნირების მონაწილენი ე. ფატალიბეკოვა, მ. ლიტინსკაია და სხვები. ყოველი მათგანი თითოჯერ მაინც იყო სსრ კავშირის ჩემპიონი, ნ. ალექსანდრიამ კი ამ დიდ წარმატებას სამგზის მიაღწია. რა თქმა უნდა, ასეთი სახელები ნებისმიერ ტურნირს დაამშვენებს.

აქვე უნდა აღვნიშნო ქართველი მოჭადრაკე ქალების დიდი წვლილი საჭადრაკო მოძრაობის

(დასასრული მე-3 გვ.).



ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: საერთაშორისო მატჩის მონაწილე კოლექტივები; პოლონელი სტუმრები უცნობი ჯარისკაცის საფლავთან; გამარჯვების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეა მაია ბაზუაშვილი; ნორჩი მაყურებლები.

გ. დოლენჯაშვილის ფოტოები.

● ტანვარჯიში

მეხუთედ

თბილისის გამოყენებ[illegible] სამართველოს გ. ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშულ სკოლას (დირექტორი მ. იმნაძე) დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს პოლონეთის ქალაქ კრაკოვის სპორტკლუბ „ვისლას" ტანმოვარჯიშე გოგონებთან. მეგობრები ყოველწლიურად სტუმრობენ ერთმანეთს. ამჯერად მათ შეხვედრას თბილისი მასპინძლობდა. კრაკოველები უკვე მეხუთედ ესტუმრნენ ჩვენს დედაქალაქს და ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა გამართეს თავიანთ კოლეგებთან.

უნდა ითქვას, რომ თბილისელთა კოლექტივი ამჯერად მესამე (I და II ნაკრები გუნდები შეკრებას გადიან მოსკოვში) გუნდით გამოვიდა ასპარეზობაზე.

ბჯენით ხტომებსა და ნაირსიმაღლის ორძელზე პირველობა არავის დაუთმო მაია ბაზუაშვილმა (შესაბამისად 9.45 და 9.55 ქულა), დვირზე 9,4 ქულით პირველობა მოიპოვა ბარბარა ჯობმა, ხოლო ამდენივე ქულით მეორე იყო მაია გვარამაძე. თავისუფალ ვარჯიშში ყველას აჯობა ქეთინო ციმაკურიძემ (9.55).

მრავალჭიდში · 37,45 ქულით I ადგილი არავის დაუთმო მაია ბაზუაშვილმა, II ადგილი წილად ხვდა ბეატა ობრატისკას (37,25), მესამე — მაია გვარამაძეს (37, 15).

გუნდური პირველობა „ვისლას" ტანმოვარჯიშეებმა (184,25) მოიგეს, თბილისელთა შედეგია 184,1.

კრაკოველი ტანმოვარჯიშეები თავისუფალ დროს ეცნობოდნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს.

მედეა ვაშალომიძე.

ვინ როგორ მუშაობს?

საქართველოს სპორტკომიტეტმა შეაჯამა რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებების, ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურის კომიტეტებს შორის ზაფხულის ოლიმპიურ სახეობებში უმაღლესი სპორტული ოსტატობის განვითარებისთვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების 11 თვის შედეგები.

I ჯგუფი — ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქის, ქალაქების ჯგუფი.

	I	II	III	ქულები
ქ. თბილისი	309	240	250	6180,8
ქ. ქუთაისი	17	11	10	451,9
აჭარის ასსრ	29	17	18	434,6
ქ. რუსთავი	16	11	19	389,3
აფხაზ. ასსრ	8	2	5	344,8
ქ. გორი	10	9	17	230,0
ქ. ფოთი	2	8	3	148,3
სამხ. ოს. ა. ო.	2	3	2	81,8
ქ. ზუგდიდი	2	2	—	36,0
ქ. ჭიათურა	—	2	—	29,0

II ჯგუფი — სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ჯგუფი.

	I	II	III	ქულები
„ბურევესტნიკი"	66	61	70	2012,0
„დინამო"	80	55	51	1754,8
ასკ	60	35	43	1588,8
„განთიადი"	73	43	69	1480,8
„შრ. რეზერვ."	38	40	44	928,8
„ლოკომოტ."	39	37	27	856,0
„სპარტაკი"	39	23	39	783,5
„კოლმეურნე"	29	19	28	676,0
„ვოდნიკი"	11	17	12	266,4

III ჯგუფი — რესპუბლიკის რაიონები

	I	II	III	ქულები
კასპი	8	7	10	141,0
მცხეთა	7	—	3	117,6
გარდაბანი	6	5	9	106,0
მახარაძე	2	1	4	76,0
ახმეტა	—	4	2	61,0
სიღნაღი	3	1	—	46,0
ორჯონიკიძე	2	1	6	45,0
ხაშური	3	1	—	42,0
დუშეთი	2	1	1	31,0
ზუგდიდი	—	—	—	20,0
წითელწყარო	1	—	—	20,0
სამტრედია	2	—	—	20,0
თელავი	—	1	3	15,0
ლანჩხუთი	1	—	—	15,0
ქარელი	—	—	—	11,0
ბოლნისი	1	—	—	10,0
საგარეჯო	—	—	1	10,0
საჩხერე	—	1	—	6,0
თეთრი წყარო	—	—	—	3,6
ზესტაფონი	—	—	2	3,0

შენიშვნა: 1. გრაფაში — „დაკავებული ადგილები" აღნიშნულია სპორტსმენების (გუნდების) მიერ ცენტრალური საბჭოების, საკავშირო პროფსაბჭოს შეჯიბრებებში სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებსა და ჩემპიონატებში, საერთაშორისო ტურნირებში, საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში მოპოვებული საპრიზო ადგილების რაოდენობა.

2. გრაფაში — „ქულები" გათვალისწინებულია ზაფხულის ოლიმპიურ სახეობებში და სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში მოგროვებული ქულები; I ადგილისთვის იწერება 5 ქულა, II ადგილისთვის — 3, III ადგილისთვის — 1, სათანადო კოეფიციენტის გათვალისწინებით.

საქართველოს სპორტკომიტეტის დაგეგმვისა და აღრიცხვის განყოფილება.

● კრივი

„ოქროს ხელთათმანები" — საბჭოთა მოკრივეებს

ბელგრადში დამთავრდა მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი — „ოქროს ხელთათმანები", რომელშიც გაიმარჯვა ოთხმა საბჭოთა მოკრივემ. ესენი არიან: ევროპის ჩემპიონები კრასნოდარელი შ. საბიროვი (48 კგ), ჯამბულელი ს. კონაკბაევი (63,5 კგ), ერევნელი ა. ნიკოლიანი (81 კგ) და აგრეთვე მოსკოველი ა. კოშკინი (67 კგ). ამ უკანასკნელს სპეციალური პრიზიც მიენიჭა, როგორც სტუმართაგან ყველაზე ტექნიკურ მოკრივეს. მან პირველ რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, იუგოსლაველი ს. მირკოვიჩი. ვერცხლის მედალი დაიმსახურა ყარაგანდელმა ს. ნურკაზოვმა (54 კგ), რომელმაც ფინალში წააგო მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორ, იუგოსლაველ ფ. შაჩიროვიჩთან. ტურნირის საუკეთესო მოკრივედ აღიარეს ევროპის ჩემპიონი, იუგოსლაველი მ. პერუნოვიჩი (71 კგ).

● ჭადრაკი

პირველი შედეგები

გუშინწინ მინსკის ძერჟინსკის სახელობის კლუბში დაიწყო სსრ კავშირის ვაჟთა 47-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა. გაიმართა I ტურის შეხვედრები.

წარუმატებლად აიღო სტარტი თბილისელმა დიდოსტატმა თ. გიორგაძემ. იგი შავებით შეხვდა ჰაბუჯ საერთაშორისო ოსტატ გ. კასპაროვს (ბაქო) და დამარცხდა. მისი ბედი გაიზიარეს ჭაბუკთა ურის მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ა. იუსუპოვმა (მოსკოვი), საერთაშორისო ოსტატებმა კ. ლერნერმა (ოდესა) და ვ. კუპრეიჩიკმა (მინსკი), რომლებმაც წააგეს შეხვედრები დიდოსტატებთან ე. სვეშნიკოვთან (ჩელიაბინსკი), რ. ვაგანიანთან (ერევანი) და ს. მაკარიჩევთან (მოსკოვი).

დიდი ინტერესი გამოიწვია ო. რომანიშინ (ლვოვი) — ი. ბალაშოვის (მოსკოვი) პარტიამ, რომელიც ლვოველმა დიდოსტატმა მოიგო.

ყაიმით დამთავრდა პარტიები: ნ. რაშკოვსკი (კურგანი) — მ. ტალი (რიგა), ე. გელერი (მოსკოვის ოლქი) — ა. ბელიავსკი (ლვოვი) და ვ. ცეშკოვსკი (ომსკი) — ი. ანიკაევი (ნიკოლაევი).

● კალათბურთი

დამაჯერებლად

საბჭოთა კალათბურთელ ქალთა გუნდმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ტურნეს პირველი მატჩი გამართა ტუნისის შტატის ქალაქ ნოქსვილში ადგილობრივ უნივერსიტეტის გუნდთან და დაამარცხა იგი 102:59. საბჭოთა გუნდიდან ყველაზე შედეგიანები იყვნენ ო. სუხარნოვა — 19 ქულა, უ. სემიონოვა — 15 და ნ. ფერიაბნიკოვა — 14. ამერიკელთაგან თავი გამოიჩინა ჯ. რანკინმა. რომელმაც გუნდს 23 ქულა შესძინა.

ფოტო-[illegible]

სპორტული ბაზა: როგორია მისი უკუგება?

●

ერთი თვეც და გორის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტული სკოლის ახალსახლობას 2 წელი შეუსრულდება: 1977 წლის 29 დეკემბერს ქალაქის ათასობით ფიზკულტურისა და სპორტის მოყვარულის ოცნება ახდა — საექსპლოატაციოდ გადაეცა ბავშვთა შორის სპორტის პროპაგანდის, მისი დანერგვისა და განვითარების შესანიშნავი კერა.

2 წელი არც ისე დიდი დროა, მაგრამ ამ სკოლას, მის კანონიერ ბინადართ უკვე იმდენი ვაი-ვაგლახი გადახდათ, რომ ღირს მათზე ყურადღების შეჩერება.

გორელებს სპორტში კარგი ტრადიციები აქვთ. ცხადია, რომ ამ ტრადიციებს გაგრძელება და გაღრმავება სჭირდება. ეს ახალგაზრდობამ უნდა იტვირთოს. რა თქმა უნდა, მათ სათანადო დახმარება და ხელშეწყობა არ უნდა მოვაკლოთ. სპორტული ბაზაც ხომ ამიტომ აიგო.

ხიზნები

აქაა სპორტთამაშების, ტანვარჯიშის, ჭიდაობის, კრივისა და ძალოსნობის დარბაზები, ოთახები პროექტით გათვალისწინებული 50-ადგილიანი საერთო საცხოვრებლისთვის, მწვრთნელების სამუშაოდ და მეთოდკაბინეტებისთვის. ერთი სიტყვით, სპორტსკოლის ოთხსართულიანი შენობა ბავშვთა სპორტის შესანიშნავი ბაზაა და იგი კიდევ უფრო სრულყოფილი, სანიმუშო ხდება, როცა საცურაო აუზიც მწყობრში ჩადგება.

სპორტსკოლაში 50-მდე ჯგუფია. ამ ჯგუფებში 10 სახეობაში გამოცდილი სპეციალისტების ზრუნვით 500-ზე მეტი მოზარდი ეუფლება სპორტის საიდუმლოებას, სრულყოფს ტექნიკას.

აღსანიშნავია, რომ სპორტსკოლის ბაზები ხეირიანად ამ კონტიგენტსაც ვერ აკმაყოფილებს, ამიტომაც ზოგიერთი ჯგუფი იძულებულია თავი სხვაგან შეაფაროს. მაგალითად, ფრენბურთელები ქალაქის VII საშუალო სკოლის დარბაზსაც იყენებენ, კალათბურთელი გოგონები პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე ვარჯიშობენ...

ეს არცაა საკმარისი, რადგან მარტო კალათბურთში 4 ჯგუფია. თვითეული კვირაში 5-ჯერ 3-3 საათს მეცადინეობს, ე. ი. ჯგუფს 15 საათი მიაქვს. გამოდის, რომ კალათბურთს დარბაზში 60-მდე საათი უნდა დაეთმოს. თუ ამას ფრენბურთის 2 და ხელბურთის 1 ჯგუფისთვის საჭირო დროს დავუმატებთ, სამეცადინო საათების რაოდენობა 90-მდე ადის. ეს იმას ნიშნავს, რომ კვირაში დარბაზი ყოველდღიურად შეუსვენებლად 13-13 საათს იყოს დატვირთული. მაგრამ შეჯიბრებებისთვისაც ხომ უნდა გამოინახოს დრო?

ცხადია, სპორტსკოლა გასაჭირშია. და ამ დროს დახმარების მაგიერ მას ხელშემშლელად მოევლინენ... მოცეკვავეები. ამაზე „ლელო“ შარშან წერდა. კრიტიკას თითქოს შედეგიც მოჰყვა. მაგრამ, როგორც ჩანს, ქალაქში მალე დაივიწყეს გაზეთის გამოსვლა.

მაშინ ქორეოგრაფიული სტუდიის მუშაობა საჭიდაო დარბაზიდან დაუწყიათ. მოგვიანებით იგი სპორტთამაშების დარბაზში გასახლებულა. ამჟამად აქ კვირაში სამ დღეს — ორშაბათს, შაბათსა და კვირას დილის 9-დან საღამოს 18 საათამდე მოცეკვავენი მეცადინეობენ. დარბაზის კანონიერ მფლობელებს — ნორჩ სპორტსმენებს კი ამ დროს ისღა დარჩენიათ, ტაშ-ფანდურას უსმინონ და ცეკვას უყურონ.

ახალგაზრდებს ცეკვაც უყვართ და თამაშიც. ორივე სასარგებლოა და საჭიროც. მაგრამ განა სწორია, რომ ცეკვა სპორტის ხარჯზე ვითარდებოდეს?

მოცეკვავეები სპორტსკოლის დარბაზში ქალაქის სახალხო განათლების განყოფილების მაშინდელ გამგეს ოთარ კლიმიაშვილს შეუსახლებია. მერე ვინ არ ჩაერია ამ საქმეში, მაგრამ... „სპორტსკოლა ჩემია და მე უკეთ ვიცი რასაც ვაკეთებო“ — ასეთი იყო კლიმიაშვილის პასუხები საჩივრებზე, საყვედურებზე.

მერე, როცა განათლების განყოფილების გამგის თანამდებობიდან კლიმიაშვილი გადაიყვანეს და მის ადგილზე ნანა კახნიაშვილი დანიშნეს, სპორტსკოლაში ეგონათ ამ დაწესებულებას ბოლოს და ბოლოს ნორმალური მუშაობის საშუალება მიეცემოდა. სამწუხაროდ, სპორტსკოლას ახალი ხიზნები მიადგნენ. სწორედ კახნიაშვილის განკარგულებით (და ალბათ ქალაქის ხელმძღვანელთა მხარდაჭერით) ამ შენობაში შესახლდა... თვით ქალაქის განათლების განყოფილება (?!).

ამ დაწესებულებას აქ 17 ოთახი უკავია. სწორედ ის ოთახები, რომლებშიც სპორტსმენებისთვის სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებელი უნდა მოწყობილიყო. 2 ოთახიც ქალაქის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს დაეთმო.

ამრიგად, შენობის თითქმის ნახევარი სხვათა ხელში გადავიდა. ჰოდა, ახლა საქალაქო შეკრების მონაწილეებსა თუ საასპარეზოდ ჩამოსულ სპორტსმენებს ტანვარჯიშული დარბაზის ქანდარაზე, რომ იტყვიან, ერთმანეთზე სძინავთ. ესეც შენი წვრთნისა და დასვენების ნორმალური პირობები!

იქნებ მოცეკვავეები არიან განებივრებულნი? მაინცდამაინც კარგი დღე არც მათ ადგათ: „დიდი რესპუბლიკური შეჯიბრებების დროს, როცა სხვა გამოსავალი არ არის, მათი მეცადინეობაც იშლებაო“, გვითხრეს.

მშენებლებისა და სკოლის დირექციის მიმართაც გვაქვს სასაყვედურო. დამპროექტებლებს თუ მშენებლებს დარბაზებში სათანადო ვენტილაციისთვის არ უზრუნიათ. ძალზე დაბალია სპორტის პროპაგანდის დონე — ვერსად შეხვდებით პლაკატებს, ლოზუნგებს, მოწოდებებს... ფოიეში მხოლოდ კალათბურთელთა პატარა სტენდია. ეს არის და ეს.

„ჩვენი შენობა ჩვენ არ გვეკუთვნის. ამიტომაც არც პროპაგანდაზე ვზრუნავთ და არც საიმისო ინტერესი გვაქვსო“, თავი იმართლეს. უსაფუძვლო განცხადებაა. ალბათ ამ დაუდევრობის შედეგია, რომ აქ არ იგრძნობა ის სიხალისე, რომელიც ბავშვთა აღზრდის დაწესებულებას უნდა ახასიათებდეს. ეგ კი არა და, სკოლის აღსაზრდელთა მიერ სხვადასხვა დროს მოპოვებული ჯილდოებიც ერთ კარადაში შეუკუჭიათ.

ცხადია, სპორტსკოლისადმი, მისი აღსაზრდელებისადმი ასეთი დამოკიდებულება უარყოფითად მოქმედებს მის საქმიანობაზე. თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ გორში ხშირად ჩადიან სტუმრები, რომლებიც სპორტსკოლის ავ-კარგითაც ინტერესდებიან, ცხადი გახდება, რომ ამ დაწესებულებას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. რაც მთავარია, სკოლა მთლიანად უნდა განთავისუფლდეს ხიზნებისგან.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქალაქის მესვეურები დროულად გადაწყვეტენ საქმეს სპორტის მოყვარული მოზარდების სასარგებლოდ.

ო. გელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
გორი.

ჰორიზონტზეა ლეიკ-პლესიდი

XIII OLYMPIC WINTER GAMES LAKE PLACID 1980

საბჭოთა სამთო მოთხილამურე, კემეროვოელი ვ. მაკეევი გულმოდგინედ ემზადება ლეიკ-პლესიდის ზამთრის ოლიმპიადისთვის. შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში ვლადიმერმა ბრწყინვალედ იასპარეზა სწრაფდაშვებაში და ასეთი რანგის შეჯიბრებაში 10 უძლიერეს სპორტსმენს შორის მოხვდა.

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. მაკეევი ასპარეზობისას.

საკდესის ფოტო.

მედალს უმიზნებენ

ინსბრუკის XII ოლიმპიურ თამაშებში ამერიკელი დ. კოხის მიერ 30 კილომეტრზე რბოლაში ვერცხლის მედლის მოპოვება ყველასთვის მოულოდნელი იყო.

მომავალი ოლიმპიადისთვის სამზადისშიც კოხს ასთმის სახით სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდა, მაგრამ 24 წლის მოთხილამურე დანებებას არ აპირებს. გასულ ზაფხულს იგი რამდენჯერმე ჩამოდიოდა ევროპაში სავარჯიშოდ. ხან მარტო, ხანაც გუნდთან ერთად ვარჯიშობდა. აშშ-ს სათხილამურო ფედერაციას არ სჯერა, რომ კოხმა 4 წლის წინანდელი წარმატების გამეორება შეძლოს, მაგრამ დანკლისთან, კოლდუელთან და პეტერსონთან ერთად მას აუცილებლად დააყენებენ ესტაფეტაში, სადაც ამერიკელები მედალს უმიზნებენ.

სხვებს არ ჩამორჩა

ცნობილი ფიგურული მოციგურავე ჟ.-კ. სიმონი სხვა ევროპელი კოლეგების მსგავსად ტექნიკის სრულყოფისთვის დენვერს გაემგზავრა და ცნობილი სპეციალისტის კ. ფასსის ხელმძღვანელობით ემზადება ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადისთვის.

ეს ის ფასსია, რომელმაც ინგლისელი ჯ. კარი და ამერიკელი დ. ჰემილი (ინსბრუკის ოლიმპიადის ჩემპიონი), კონტინენტის შარშანდელი ჩემპიონატის პრიზიორი ინგლისელი რ. კაზენსი აღზარდა.

სიმონი ფასსის ხელმძღვანელობით მთლიანად ცვლის ნებისმიერ პროგრამას. მათ ამ საქმეში ეხმარება, აგრეთვე წარსულში ცნობილი ფრანგი ფიგურისტი ფ. პელისე.

ნორვეგიელთა გეგმები

მომავალი „თეთრი ოლიმპიადისთვის“ მზადება ნორვეგიელმა მოთხილამურეებმა ჯერ კიდევ გასულ სეზონში დაიწყეს. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მსოფლიო თასის ცალკულ ეტაპებში მთელი ძალებით ბრძოლას. როგორც ცნობილია, ამ ქვეყნის მორბენლებმა მსოფლიო თასის გათამაშებაში წარმატებას მიაღწიეს, ხოლო ლაჰტის თამაშებში მოიგეს 50 და 15 კილომეტრზე რბენა.

ოლიმპიადისთვის სპეციალური მზადების ნიშნით ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები აგვისტოს დასაწყისში შეიკრიბნენ სტრიუნში, გამოჩენილი მწვრთნელის მ. ლუნდემის ხელმძღვანელობით.

ნაკრებში 8 კანდიდატია: უ. აუნი, ა. ბეკენი და ლ. ერიქსენი, პ. ოლანდი და ჩ. სული, ო. ბრო, ი. ლინდვალი და ვეტერანი ტ. გულენი. ლუნდემს შესაძლოდ მიაჩნია, რომ ოლიმპიადამდე ნაკრების შემადგენლობა შეიძლება განახლდეს ახალგაზრდების ხარჯზე, თუ ისინი მანამდე გამართულ შეჯიბრებებში გამოიჩენენ თავს.

სექტემბერში ნორვეგიელი მოთხილამურეები ავსტრიას ეწვივნენ და ზღვის დონიდან 2600 მეტრზე ყოველდღიურად 2 საათს ვარჯიშობდნენ. შემდეგ ნორვეგიის ქალაქ რიორუსში შეიკრიბნენ, სადაც ოლიმპიური ტრასების მსგავს სარბენ ბილიკებზე ვარჯიშობდნენ.

მწვრთნელი ვარაუდობს, რომ ბროსა და ერიკსენს ლეიკ-პლესიდში ყველა დისტანციაზე გამოიყვანს. გულენს, ლინდვალსა და აუნის ანდობს სპრინტს, ხოლო დანარჩენები დიდ მანძილზე რბენისთვის ემზადებიან. მ. ლუნდენს ოლიმპიადაზე ნორვეგიელთა მთავარ მეტოქეებად მიაჩნია შვეციისა და საბჭოთა კავშირის მოთხილამურეები.

ინსბრუკში ნორვეგიელებმა 1 ოქროს მედალი მოიპოვეს ინდივიდუალურ შეჯიბრებაში და მეორენი იყვნენ ესტაფეტაში. მწვრთნელის აზრით, ლეიკ-პლესიდში მისი აღსაზრდელები უკეთეს შედეგს მოიპოვებენ.

● სარედაქციო ფოსტა

ეს საჭირო და სასარგებლო საქმეა

ქართველ კაცს ისტორიის უხსოვარი დროის გზაზე მრავალი ბრძოლა გადახდომია, კარს მომდგარი მტრისთვის ხშირად ხელჩართულ ბრძოლაში დამარცხება უგემებია. ქართველი მებრძოლი კარგი სპორტსმენი ყოფილა, რასაც არაერთხელ ადასტურებენ მეისტორიენი.

თავი რომ დავანებოთ დოღს, ჯირითს, ფარიკაობას, კლდეებში გამოკვეთილ სამალავებში ასვლას და იქიდან ისრის ტყორცნას, რაც დიდ ძალასა და ენერგიას, ხერხიან მოქმედებას და სპორტულ რეჟიმს მოითხოვდა, ქართული ჭიდაობის ბევრი ილეთიც ბრძოლების შედეგადაა მიღებული. საფიქრებელია, რომ ქართული ჭიდაობის ყველა ილეთი არ მოღწეულა ჩვენამდე და თუ მოღწეულა, საქართველოს კუთხეებსა და სოფლებშია გაბნეულ-გაფანტული.

კარგი იქნება, რომ სპორტის მოყვარულებმა, სპორტის მცოდნეებმა, თვით ქართული ჭიდაობის ვეტერანებმა და საერთოდ ამ საქმის გულშემატკივრებმა წამოიწყონ თაოსნობა, ესტუმრონ საქართველოს. შორეულ სოფლებს — გრემსა თუ სურამს, ბრეთსა თუ ლანჩხუთს, საგარეჯოსა თუ მეჯვრისხევს, ტვიშსა და ოქუმს, შეკრიბონ და დაამუშაონ ქართული ჭიდაობის ილეთები, რომ ქართველ მკითხველს, ამ სახეობით დაინტერესებულ ახალგაზრდებს საშუალება ჰქონდეთ კარგად დამუშავებული ლიტერატურიდან შეისწავლონ მშობლიური სპორტის დიდი ტრადიციები.

ორიოდე სიტყვა საჭიდაო მუსიკის შესახებაც.

მსოფლიოს ხალხებს მრავალი სახის ჭიდაობა გააჩნიათ, მაგრამ საამისო მუსიკა ყველას როდი აქვს. ქართულ ჭიდაობას კი დიდად პოპულარული მუსიკა ახლავს, რომლის კლასიკური დამუშავება მოგვცეს ჩვენმა სახელოვანმა კომპოზიტორებმა ს. ცინცაძემ და რ. ლაღიძემ. ასევე შეიძლება შეგროვდეს საჭიდაო მუსიკის ფრაგმენტები ხალხური ვარიაციებით. ეს იქნებოდა საშვილიშვილო საქმე.

კიდევ ერთიც: დღემდე არ მოგვეპოვება დიდი ტირაჟით გამოცემული „ქართული ჭიდაობის“ წესები. 1938 წელს გამოცემული პატარა წიგნაკი კი საკმარისი არაა. საჭიროა მისი გადამუშავება და ხელახალი გამოცემა. თუ ეს მოხერხდება, მაშინ, ვფიქრობთ, ყველა კულტურული კაცის ოჯახში „ქართული ჭიდაობის წესები“ წიგნის კარადის „საპატიო წევრის“ უფლებას მოიპოვებს.

დ. მურმანიშვილი.
ქარელის რაიონი.

„ლ ე ლ ო ს“ პ ა ს უ ხ ი

გ. ბაბიძაშვილი (თბილისი) **გვეკითხება: როდის და რამდენი პარტია უნდა გათამაშდეს ქალთა და ვაჟთა 1978-1981 წლების მსოფლიო პირველობის ციკლის პრეტენდენტთა მატჩებში.**

ფიდე-ს კონგრესის გადაწყვეტილებით, ქალთა და ვაჟთა პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები 1980 წლის 1 აპრილამდე უნდა დამთავრდნენ, ნახევარფინალები — 1 აგვისტომდე, ფინალები — 1 დეკემბრამდე. მატჩები მსოფლიო პირველობაზე 1981 წელს ჩატარდება.

პრეტენდენტი ქალები მეოთხედ და ნახევარფინალურ მატჩებში 10-10 პარტიებს გაითამაშებენ, ფინალურ მატჩში — 12-ს. პრეტენდენტი ვაჟები მეოთხედფინალურ მატჩში 10 პარტიას ითამაშებენ, ნახევარფინალში — 12-ს და ფინალში — 16-ს.

მოჭადრაკეთა დიდი ფორუმი თბილისში

დასასრული

შემდგომ განვითარებაში. ნიჭიერ მოჭადრაკეთა ახალი პლეადიდან 17-18 წლის გოგონებმა მ. ჩიბურდანიძემ, ნ. იოსელიანმა და ნ. გურიელმა ქვეყანა აალაპარაკეს თავიანთი შთამბეჭდავი მიღწევებით. სამწუხაროდ, ნანა და ნინო ჩემპიონატში არ მონაწილეობენ. მსოფლიო პირველობის პრეტენდენტები ინდივიდუალური გეგმით ემზადებიან მეოთხედფინალური მატჩებისთვის.

39-ე ჩემპიონატის ძლიერი შემადგენლობა გვპირდება უშელავათო და დაძაბულ ბრძოლას, რაც საერთოდ დამახასიათებელია საბჭოთა მოჭადრაკე ქალთათვის. შემოქმედებითი თვალსაზრისითაც, სპეციალისტების აზრით, პაექრობა საინტერესო იქნება, რადგან საგრძნობლად ამაღლდა ქალთა ჭადრაკის საერთო დონე. ამის შესანიშნავი დადასტურებაა ფიდე-ს მიერ ნ. გაფრინდაშვილისთვის ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდების მინიჭება, ანდა მ. ჩიბურდანიძის ამასწინანდელი გამარჯვება ბარსელონის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში.

ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა ყველაფერი იღონა, რომ შეჯიბრება უნაკლოდ ჩატარდეს, მასპინძლებს სათანადო პირობები ჰქონდეთ სტუმრების მისაღებად, ჭადრაკის სასახლეც საგულდაგულოდ მოემზადა: მის ფოიეში დამატებით დაიდგმება სადემონსტრაციო დაფები, გულშემატკივრებისთვის მოეწყობა ცნობილ მოჭადრაკეთა ერთდროული თამაშის სეანსები, გაიხსნება წიგნების ჯიხური; ჩემპიონატისთვის გამოიცემა პროგრამა და ბევრი სხვ.

39-ე ჩემპიონატი ახალი თავია საბჭოთა მოჭადრაკე ქალთა მოძრაობის მატიანეში. ვიმედოვნებთ, რომ იგი შესაფერის წვლილს შეიტანს ბრძენთა თამაშის განვითარებაში, ახალი თაობის მოჭადრაკეთა მიზიდვაში და ხელს შეუწყობს დიდოსტატებისა და ოსტატების შემოქმედების გაღრმავება-სრულყოფაში.

წარმატებას ვუსურვებ ჩემპიონატის ყველა მონაწილეს!

მონაწილენი

მ. ჩიბურდანიძე (თბილისი, „დინამო"), **მსოფლიოს ჩემპიონი, სსრ კავშირისა და საერთაშორისო დიდოსტატი.**

ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი, ასკ), **მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, სსრ კავშირისა და საერთაშორისო დიდოსტატი, ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატი.**

ე. ახმილოვსკაია (კრასნოიარსკი, „ბურევესტნიკი"), **საერთაშორისო დიდოსტატი.**

ნ. ალექსანდრია (თბილისი, „ბურევესტნიკი"), **საერთაშორისო დიდოსტატი.**

ი. ლევიტინა (ლენინგრადი, ასკ), **სსრ კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო დიდოსტატი.**

მ. ლიტინსკაია (ლვოვი, ასკ), **საერთაშორისო დიდოსტატი.**

ე. ფატალიბეკოვა (მოსკოვი, „ბურევესტნიკი"), **საერთაშორისო დიდოსტატი.**

ლ. სემიონოვა (კიევი, „ავანგარდი"), **სსრ კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი.**

ლ. ბელავენეცი (მოსკოვი, „ტრუდი"), **საერთაშორისო ოსტატი.**

ლ. მულენკო (კიევი, „ავანგარდი"), **საერთაშორისო ოსტატი.**

ტ. ვორონოვა (რიგა, „დაუგავა"), **სპორტის ოსტატი.**

ა. გრინფელდი (კალინინგრადი), **სპორტის ოსტატი.**

თ. მინოგინა (მოსკოვი, „სპარტაკი"). **სპორტის ოსტატი.**

ც. კობაიძე (თბილისი, „განთიადი"), **სპორტის ოსტატი.**

ლ. ზაიცევა (მოსკოვი, „ტრუდი"), **სპორტის ოსტატი.**

რ. პაპივოდა (მოსკოვი, „ბურევესტნიკი"), **სპორტის ოსტატი.**

ლ. მუჩნიკი (კიევი, „ბურევესტნიკი"), **ოსტატობის კანდიდატი.**

ე. სტუპინა (ლიპეცკი) **ოსტატობის კანდიდატი.**

მეექვსე მასპინძლობა

სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატისთვის თბილისს მასპინძლობა ადრეც გაუწევია, პირველად — 1952 წელს. ეს იყო მე-14 ჩემპიონატი, რომლის შემადგენლობაში ვერცერთი ქართველი მოჭადრაკე ვერ მოხვდა. სხვათა შორის, მასში მონაწილეობდნენ 39-ე ჩემპიონატის მთავარი მსაჯი ვ. ტიხომიროვა (X-XII ადგილები) და მისი მოადგილე ტ. კრიუკოვა (VIII-IX). ჩემპიონის ოქროს მედალი კი ხვდა მსოფლიო ჩემპიონ ლ. რუდენკოს, რომელსაც მანამდე მსგავს შეჯიბრებაში არ გაემარჯვა.

მხოლოდ 12 წლის შემდეგ უმასპინძლა თბილისმა ჩემპიონატს მეორედ. მასში ჩემპიონის სახელი პირველად მოიპოვა ნ. გაფრინდაშვილმა, რომელიც ამ დროს უკვე მსოფლიო ჩემპიონი იყო. 15 წლის ნ. ალექსანდრიამ VI-VII ადგილები გაიყო.

1973 წელს ახალგახსნილ ჭადრაკის სასახლეში მოეწყო 33-ე ჩემპიონატი. ნ. გაფრინდაშვილმა მეორე ოქროს მედალი დაისაკუთრა. ტურნირის დებიუტანტი კი 12 წლის მ. ჩიბურდანიძე იყო.

სასახლემ 1974 წელსაც უმასპინძლა ჩემპიონატს. მასში ქართველთაგან მ. ჩიბურდანიძე, ც. კობაიძე და თ. ხუგაშვილი მონაწილეობდნენ. ჩემპიონი ე. ფატალიბეკოვა გახდა.

უკანასკნელად თბილისში 1976 წელს გაიმართა ჩემპიონატი, რომლის მონაწილეთა მესამედს საქართველოს მოჭადრაკეები შეადგენდნენ. მათგან ყველაზე წარმატებით ითამაშა ნ. ალექსანდრიამ — VII ადგილი. ჩემპიონატში პირველად ითამაშეს 15 წლის ნ. გურიელმა (IX) და 14 წლის ნ. იოსელიანმა (IX-XI).

„ლელოს" ფოტოარქივიდან

გთავაზობთ სსრ კავშირის 39-ე ჩემპიონატის მონაწილეების, ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკე ქალების არცთუ ისე შორეული წარსულის ფოტოებს. ახლა ეს სურათები ქართული ჭადრაკის ისტორიის კუთვნილებაა.

□

რას ვიფიქრებდით!

ეს მოხდა 1970 წელს. ქუთაისელმა ფოტორეპორტიორმა ჯ. ფხაკაძემ რედაქციაში მოგვიტანა პატარა გოგონას სურათი და ინფორმაცია. როცა გოგონას ვინაობა ვკითხეთ, გვითხრა: ამ გოგონამ (გვარიც დაგვისახელა, მაგრამ იგი არ დაგვამახსოვრდა) გაიმარჯვა ქუთაისელ მოსწავლეთა ტურნირში, ძალიან კარგად თამაშობს, მოზრდილებსაც უგებსო.

ყველაფერს სიამოვნებით მოვუსმინეთ და ვუთხარით: ჩვენში ბევრი ბავშვი კარგად თამაშობს ჭადრაკს და ყველას სურათი გაზეთში რომ ვაძლიოთ, სად წაგვიყვანს. და სურათი... არქივში შევინახეთ.

ამას წინათ არქივის გადათვალიერებისას წავაწყდით ამ სურათს.

ეს ხომ მაია ჩიბურდანიძეა! რას ვიფიქრებდით, რომ 8 წლის შემდეგ ეს 9 წლის გოგონა მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა.

აი, ამ დროიდან...

ალბათ იცანით: ახალგაზრდა ნონა გაფრინდაშვილი და იმდროინდელი მსოფლიო ჩემპიონი ე. ბიკოვა. ეს სურათი „ლელოს" ფოტოკორესპონდენტმა მ. ზარგარიანმა (ამჟამად იგი პენსიაზეა) გადაიღო მოსკოვში, მსოფლიო პირველობაზე ბიკოვა — გაფრინდაშვილის მატჩის გახსნის ცერემონიალზე, 1962 წლის 17 სექტემბერს.

აი, ამ დროიდან დაიწყო ნონას სასწაულებრივი იერიში ჭადრაკის მწვერვალების დასაპყრობად. მან ჯერ ბიკოვას სძლია, მერე კიდევ ოთხჯერ გაუცრუა იმედები ჭადრაკის დედოფლის ტახტის მაძიებელთ. გამარჯვებას გამარჯვება და დიდი აღიარება მოჰყვებოდა. მისმა განვლილმა სახელოვანმა გზამ ღრმა კვალი დაამჩნია ქალთა ჭადრაკს.

ასეთი იყო 21 წლის ნონა, რომელსაც ახლა პოლონური გაზეთი „ჟიცე ვარშავა" „ყველა დროის ყველაზე დიდ მოჭადრაკე ქალად" აღიარებს.

პირველი სიხარული

60-იანი წლების სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატების ფინალში თითქმის მუდამ საქართველოს რამდენიმე მოჭადრაკე მონაწილეობდა.

ჩვენს არქივს შემორჩენილი ეს სურათი გადაღებულია 1966 წელს კიევში, სსრ კავშირის ქალთა 26-ე ჩემპიონატის ფინალის დღეებში. მასზე აღბეჭდილი არიან ცნობილი თბილისელი მოჭადრაკეები (მარჯვნიდან) დიდოსტატი ნ. ალექსანდრია, ოსტატი ე. კაკაბაძე, საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია და ოსტატობის კანდიდატი ც. კახაბრიშვილი (ე. მალინოვსკის ფოტო).

სწორედ ამ ტურნირში მოიპოვა ნანა ალექსანდრიამ სსრ კავშირის ჩემპიონის პირველი ოქროს მედალი. ეს იყო მისი პირველი დიდი სიხარულიც. მერე ნანა კიდევ ორჯერ (1968, 1969 წწ.) იყო ჩემპიონი და ბევრი დიდი საერთაშორისო ტურნირის პირველი პრიზიორი.

თ. გიორგაძე.

უმაღლესი ლიგა

დებულებიდან

⊙ ტურნირში გამარჯვებულს მიეკუთვნება სსრ კავშირის 1979 წლის ჩემპიონის სახელი, დაჯილდოვდება პირველი ხარისხის ოქროს მედლით და სსრ კავშირის ჩემპიონის დიპლომით.

II და III ადგილებზე გასული მონაწილენი დაჯილდოვდებიან შესაბამისად პირველი ხარისხის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით და დიპლომებით.

⊙ I-V ადგილების მფლობელნი პერსონალურად მიწვეული იქნებიან სსრ კავშირის მე-40 ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში.

⊙ VI-VIII ადგილების მფლობელნი მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის მე-40 ჩემპიონატის I ლიგაში.

⊙ ადგილების გაყოფის შემთხვევაში უმაღლეს და პირველ ლიგებში გასვლის საკითხი გადაწყდება: ა) ბერგერის კოეფიციენტთა ცხრილით, ბ) მოცილეთა შორის შეხვედრის შედეგებით, გ) გამარჯვების მეტი რაოდენობის მიხედვით.

⊙ აკრძალულია ყაიმზე შეთანხმება 30 სვლამდე მსაჯთა კოლეგიის ნებართვის გარეშე.

□

მსაჯები

ჩემპიონატს მოემსახურება მსაჯთა კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მთავარი მსაჯი — რსფსრ-ს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ჭადრაკში, ოსტატი და საერთაშორისო არბიტრი ვ. ტიხომიროვა (მოსკოვი), მისი მოადგილე — საერთაშორისო არბიტრი ტ. კრიუკოვა (კიევი), მსაჯი-მდივანი — საკავშირო კატეგორიის მსაჯი გ. ფამილიანტი, მსაჯები — საკავშირო კატეგორიის მსაჯი რ. თავარიანი და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი გ. მაჭავარიანი (სამივე — თბილისი).

□

როდის და რა?

სსრ კავშირის ქალთა 39-ე ჩემპიონატი ჩატარდება თბილისში, ჭადრაკის სასახლეში (ლენინის ქ. 37).

აი, როდის რა გაიმართება:

3 დეკემბერს — შეჯიბრების საზეიმო გახსნა (დასაწყისი 19 ს.).

4 დეკემბერს გაიმართება I ტური, **5-ში — II, 6-ში — III, 8-ში — IV, 9-ში — V, 10-ში — VI, 13-ში — VII, 14-ში — VIII, 15-ში — IX, 17-ში — X, 18-ში — XI, 19-ში — XII, 22-ში — XIII, 23-ში — XIV, 25-ში — XV, 26-ში — XVI, 28-ში — XVII.**

გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყობა **7, 11, 16, 20, 24, 27 და 29 დეკემბერს** (დილით).

დასვენების დღეებია **12, 21 დეკემბერი.**

29 დეკემბერს — ჩემპიონატის საზეიმო დახურვა (19 ს.).

ტურებისა და გადადებული პარტიების გათამაშების დასაწყისი — 16 ს. 30 წ.

● ტყვიის სროლა

მასპინძელთა წარმატება

თბილისში, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სასროლეთზე, რამდენიმე დღეს გრძელდებოდა სახმელეთო ჯარების საკავშირო პირველობა ტყვიის სროლაში. ტურნირმა 300-მდე სპორტსმენს მოუყარა თავი.

მასპინძლების გუნდის ინტერესს ვეტერანების, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების კაპიტან ვ. სალუქვაძის, ზემდეგების გ. თავდიდიშვილის, ვ. სკრინიკოვის, ს. ქუსიკაშვილისა და სხვათა გვერდით იცავდნენ ახალგაზრდები.

წარმატებით იასპარეზა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ვაჟთა გუნდმა, რომელმაც საბოლოოდ ყველა მეტოქის დამარცხება შეძლო და პირველობა მოიგო. ამას ვერ ვიტყვით ქალთა კოლექტივის შესახებ, რომელიც IX ადგილს დასჯერდა. ამის გამო საერთო გუნდურ ჩათვლაში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტსმენებმა V ადგილი მოიპოვეს. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ მოსკოვის, ოდესისა და ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქების გუნდები. აღსანიშნავია, რომ შარშან ამგვარ შეჯიბრებაში ამიერკავკასიის ტყვიის მსროლელები მხოლოდ მეცხრენი იყვნენ.

მასპინძლებიდან კარგად გამოვიდა სპორტის ოსტატი, რიგითი ვ. სუხორეჩენკო, რომელმაც „გაქცეულ ტახზე“ 400-დან 392 ქულა მოაგროვა, რაც საბჭოთა არმიის რეკორდის გამეორებაა და ბევრად აღემატება საოლქო რეკორდს.

ამავე ვარჯიშში წარმატებით იასპარეზა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გუნდის წევრმა, რიგითმა ვ. მურადიანმა. მან პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. აღსანიშნავია, რომ ტახზე სამივე ვარჯიშის ჯამში მასპინძლებმა 1 ოქროსა და 2 ვერცხლის მედალი მოიგეს.

თბილისის არმიელთა სპორტული კლუბის აღზრდილმა პ. მაზანაშვილმა მცირეკალიბრიანი პისტოლეტის 5 სილუეტზე სწრაფსროლაში 600-დან მხოლოდ 6 ქულა დაჰკარგა. მან, ისევე როგორც ოდესელმა ვ. შკვარჩუკმა, 594 ქულა მოაგროვა. მათ შორის უძლიერესის გამოსავლენად დამატებითი სერიები დაინიშნა. ამჯერად შკვარჩუკი უფრო ზუსტი აღმოჩნდა. მაზანაშვილი II ადგილს დასჯერდა. მაგრამ სპორტის ოსტატის სახელი მოიპოვა. საინტერესო იყო პნევმატური შაშხანით შეჯიბრება. ეს სახელობა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. აგიშევმა (ციმბირის სამხედრო ოლქი) მოიგო. ბალტიისპირელი ოსტატი ლ. ივშინა ვაჟებს ტოლს არ უდებდა და საბოლოოდ II ადგილზე გავიდა.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტსმენები 30 ნოემბერს ჩაებნენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სპორტსმენთა ტურნირში. ამ შეჯიბრებამ სტარტი მინსკში აიღო.

ქ. ჯიმშელაძე.

● აფროსნობა

საბჭოთა აფროსნები გაცხოველებით ემზადებიან ოლიმპიადა-80-სთვის, რათა მომავალ წელს ტალინში წარმატებით დაიცვან ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსება.

სსრ კავშირის უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობდნენ სოჭში გამართულ შავი ზღვის ტრადიციულ რეგატაში. ასამდე ეკიპაჟი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის, ასპარეზობა ოლიმპიური გუნდის კანდიდატთა შესარჩევი ბოლო ეტაპიც იყო.

• • •

სურათზე: „ტორნადო“ სტარტის წინ.

საკდესის ფოტო.

ორი სპეციალისტი — ფეხბურთის პრობლემებზე

ბრაზილიის ტელევიზიით ამას წინათ გამოვიდა ფეხბურთის ორი გამოჩენილი სპეციალისტი: მსოფლიო ჩემპიონის — არგენტინის ნაკრების მწვრთნელი ლუის მენოტი და ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი კლაუდიო კუტინიო. დაახლოებით 40 მილიონი ტელემაყურებელი ადევნებდა თვალს ამ საინტერესო გადაცემას, სადაც მენოტიმ და კუტინიომ ილაპარაკეს სხვადასხვა საფეხბურთო პრობლემაზე.

მენოტი — ამ ბოლო ხანებში მკაცრად მაკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ არგენტინის ნაკრებმა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მარცხი იწვნია ბრაზილიელებისა და ბოლივიელებისგან. ვფიქრობ, რომ საგანგაშო ჯერჯერობით არაფერია. როგორც ჩემპიონები, განთავისუფლებული ვართ მსოფლიოს 1982 წლის პირველობის შესარჩევი თამაშებისგან, ფინალში პირდაპირ მივიღებთ მონაწილეობას, ამიტომ ნაკრების შემადგენლობაში ახალ, პერსპექტიულ მოთამაშეებს ვცდი ძლიერი გუნდების წინააღმდეგ. სწორედ ამ მიზნით ვეთამაშეთ ისეთ მეტოქეს, როგორიც ბრაზილიის ნაკრებია. ამ მატჩების შედეგებს ამჟამად რაიმე მნიშვნელობას არ ვანიჭებ. მთავარია ახალგაზრდა მოთამაშეები უკეთ მოემზადონ მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

კუტინიო — მე სულ სხვა სიტუაციაში აღმოვჩნდი. განვლილ მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიელებმა კარგად ითამაშეს, მაგრამ სპორტული წარმატება არა ჰქონიათ. ახლა ჩემი ფეხბურთელები მეტ რწმენას საჭიროებენ, რაც მათ ერთგვარად მოუპოვა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატმა. თუ მსოფლიო ჩემპიონებს — არგენტინელებს გულშემატკივრებმა შეიძლება აპატიონ ზოგიერთი ამხანაგური მატჩის წაგება, ჩვენთან სხვა მდგომარეობაა. მარცხს არავინ მაპატიებს, ყველა შეხვედრაში მოგებაზე თამაში გვჭირდება.

მენოტი — ჩემი აზრით, ბრაზილიის ნაკრებს მაინც არ სჭირდება დაუმტკიცოს ფეხბურთის სამყაროს ვინ არის იგი და რას წარმოადგენს. თქმა არ უნდა, იგი ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში. ჩემი და სხვა ექსპერტების აზრით, ახლა ბრაზილიელები ლამაზადაც თამაშობენ და ძლიერადაც. ამასთან, ვეთანხმები კუტინიოს, რომ ამ გუნდის მოთამაშეებს უნდა ჩავუნერგოთ საკუთარი ძალებისადმი რწმენა.

ის, რომ არგენტინელები მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ, ახლა ისტორიული ფაქტია და სხვა არაფერი. ახალი ჩემპიონატი ესპანეთში სხვა პირობებში, სხვა ვითარებაში ჩატარდება, რაც საგანგებო მომზადებას მოითხოვს. ჩვენ და ბრაზილიელები ფეხბურთის სამყაროში შეურიგებელი მეტოქეები ვართ, თუმცა ეს არ გამორიცხავს ურთიერთ კონსულტაციებს და გამოცდილების გაზიარებას.

კუტინიო — ნაკრების ახალი წევრების შერჩევისას მარტო ტექნიკურ აღჭურვილობას როდი ვაქცევთ ყურადღებას, არამედ იმასაც, როგორ შეუძლიათ კოლექტიური თამაში. ამ მხრივ დიდი აღმოჩენაა სოკრატესი, რომელსაც შეუძლია უხელმძღვანელოს პარტნიორებს. ჩინებული ოსტატია ფალკაოც. წლევანდელ სეზონში შესანიშნავად გამოდიოდა ა. იუნიორი — „ფლამენგოს“ მარცხენა მცველი. ბრწყინვალედ თამაშობს ზიკო, რომელმაც წელს ერთ სეზონში გატანილი ბურთების რაოდენობის ბრაზილიური რეკორდი გააუმჯობესა.

მენოტი — მწვრთნელის უპირველესი ამოცანაა ნაკრებში კოლექტიური სულისკვეთების დამყარება. ამ საქმეში მას რომელიმე საიმედო, წამყვანი ფეხბურთელი უნდა დაეხმაროს. 5 წელია არგენტინის ნაკრებს ვხელმძღვანელობ და ამ საქმეში პასარელას ვეყრდნობი.

ბოლო ხანებში ყველა მეკითხება — არის თუ არა მარადონა ახალი პელე? იმ დღეს, როდესაც მარადონა თავის 1250-ე გოლს გაიტანს, მსოფლიოს სამ ჩემპიონატში გაიმარჯვებს, კიდევ 20 სხვადასხვა საჩემპიონო წოდებას მოიპოვებს, მოაჯადოებს მთელი მსოფლიოს გულშემატკივრებს, გვექნება უფლება ვთქვათ — მარადონა მართლა ახალი პელე ყოფილა!

ამჟამად დიდი პრობლემის წინაშე ვდგავართ: როგორ შევინარჩუნოთ ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც უცხოეთში მიემგზავრებიან უკეთესი მატერიალური პირობების მისაღწევად. მიდის ყველა, ვინც დიდად ნიჭიერია. მეც უკანასკნელ წლებში მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელებთან ვმუშაობ. მომავალი წლის დასაწყისში იმ 40 მოთამაშის სიას გამოვაქვეყნებთ, რომლებიც მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატისთვის უნდა მოემზადონ. მათ ბევრ საერთაშორისო მატჩში თამაშის საშუალება მიეცემათ, რათა თავიანთი უნარი გვიჩვენონ და ოსტატობის დონე აიმაღლონ. ახლა სწორედ საერთაშორისო შეხვედრების კალენდარს ვადგენთ.

კუტინიო — მიმაჩნია, რომ ბრაზილიელები სწორ გზას დავადექით: გაისად ევროპაში ვიმოგზაურებთ, შევხვდებით მხოლოდ უძლიერეს გუნდებს — იტალიის, ავსტრიის, გფრ-ისა და შოტლანდიის ნაკრებებს.

გ. თორელი.

მთარგმნელის თავგადასავალი

პირველი წიგნი ფეხბურთზე იუგოსლავიაში (იმ დროს — სერბიაში) 1905 წელს დაიბეჭდა. თავფურცელზე ეწერა: „ფეხებით ბურთის თამაში. გერმანულიდან თარგმნა ანასტას ხრისტოდუპომ, გიმნაზიის მოსწავლემ, რომელიც თავისუფალ დროს სასამართლოში მწერლის მოვალეობასაც ასრულებს“.

მთარგმნელს ნამდვილად შავი დღე დააყარეს: გერმანული ენის მასწავლებელმა გიმნაზიაში ჩათვალა, რომ თარგმანი მშრალი ენით იყო შესრულებული და ხრისტოდუპოს „ორიანი“ დაუწერა. ამავე დროს სასამართლო პალატის თავმჯდომარემ ჩათვალა, რომ მისი ხელქვეითი სამუშაო დროს გარეშე ამბებით იყო დაკავებული და სამსახურიდან დაითხოვა. კიდევ ერთი უსიამოვნება: მთარგმნელს გაექცა საცოლე, რომელსაც ადრე უთხრა, რომ სტუდენტი იყო. ახლა კი საცოლემ მასთან ურთიერთობა გაწყვიტა როგორც გიმნაზიის მოწაფესთან და ისიც ოროსანთან.

ნაკადი

სიგნალი მიიღო მაფიისაგან

ფრანგი ველომრბოლელი კრისპმან ტრამიე ერთ დროს ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებშიც კი შედიოდა. იგი ამხილეს, რომ თავისი მოწაფეებისაგან მძარცველთა ბანდა ჩამოაყალიბა. ამასთან, მათ სრულიად არ უჭირდათ ნაძარცვის დამალვა და გასაღება: ველოსიპედისტები ხომ ელვის სისწრაფით დაჰყავდათ.

ტულუზის პოლიციის კომისარმა, რომელმაც ეს საქმე გახსნა, არ დამალა, რომ სიგნალი მიიღო მაფიის წევრებისგან, რომლებიც ვერ იტანენ კონკურენციას „არაპროფესიონალთა მხრიდან“.

კოსმეტიკური კროსი

კანადის ფირმა „იტონ პროდაქტსმა“, რომელიც კოსმეტიკურ საქონელს უშვებს, მოაწყო ქალთა გადარბენა, რომლის წევრებსაც უფასო კვება და მცირეოდენი გასამრჯელოც კი ეძლეოდათ, ოღონდ ერთი პირობით: ყველას სახეზე კოსმეტიკა უნდა ჰქონოდა წასმული. ასაკობრივი შეზღუდვა კროსის ორგანიზატორებს არ ჰქონდათ. მაგრამ 50 წელზე მეტი ასაკის ქალებს ჯანმრთელობის მოწმობას თხოვდნენ, 13 წლამდე გოგონებს კი — ცნობას იმის შესახებ, რომ მათ მშობლებს არა ჰქონდათ რა სხვადასხვა კრემის გამოყენების საწინააღმდეგო.

გუშინ მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ 48-ე ტირაჟი.

„სპორტლოტო 6—49“-დან:

პირველი: 2, 3, 10, 22, 41, 44;
შეღავათიანი ბურთულა — 12.
მეორე: 12, 22, 24, 33, 34, 45;
შეღავათიანი ბურთულა — 48.

„სპორტლოტო 5—36“-დან:

პირველი: 11, 14, 16, 18, 19.
მეორე: 10, 19, 26, 33, 35.

● ფეხბურთი

ჩემპიონატები, თასები, ლიგები

ავსტრია

XIV ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა ვენის „პრატერ-შტადიონზე“. ლიდერი — „გრაცერ აკ“-ი ეთამაშებოდა ჩემპიონს, ვენის „აუსტრიას“. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა ჩემპიონმა და ისევ მოექცა გათამაშების ცხრილის სათავეში. მას 19 ქულა აქვს. ამდენივე, მაგრამ ბურთების უარესი სხვაობით, აქვთ „ლინცერ აკ“-ს (პირველი ლიგის დებიუტანტი) და „გრაცერ სკ“-ს.

ესპანეთი

X ტურის მოულოდნელობა იყო ლიდერის — „სპორტინგის“ (ხიხონი) დამარცხება სტუმრად სევილიაში (0:1) ბოლო ადგილზე მყოფ „ბეტისთან“. „ბეტისი“ ისევ ბოლო ადგილზე დარჩა, „სპორტინგს“ კი 2 ადგილით უკან დახევა მოუხდა. მას გაასწრეს მადრიდის „რეალმა“, რომელმაც შინ ანგარიშით 5:0 დაამარცხა ალიკანტეს „ჰერკულესი“, და სან-სებასტიანის „რეალმა“, რომელმაც სტუმრად 1:0 მოუგო „სალამანკას“.

ახლა ორივე „რეალს“ 16-16 ქულა აქვს, „სპორტინგს“ — 15, „სალამანკას“ — 13.

სხვა შედეგები: „ატლეტიკო“ (ბილბაო) — „ესპანიოლი“ (ბარსელონა) 2:0, „ვალენსია“ — „უნიონი“ (ლას-პალმასი) 4:0, „რაიო ვალეკანო“ (მადრიდი) — „ატლეტიკო“ (მადრიდი) 4:1, „ბარსელონა“ — „სევილია“ 0:0, „ალმერია“ — „მალაგა“ 3:1, „რეალი“ (სარაგოსა) — „ბურგოსი“ 5:0.

საბერძნეთი

VII ტურის შემდეგ საკმაოდ მოულოდნელად ლიდერობს „ლარისა“. განვლილ ტურში მან ათენში ანგარიშით 1:0 დაამარცხა ადგილობრივი „აპოლონი“ და 12 ქულა მოაგროვა. 11 ქულა აქვს პირეოსის „ოლიმპიაკოსს“, რომელმაც სალონიკში ფრედ (0:0) ითამაშა „ირაკლისთან“. 10 ქულა მოაგროვა სალონიკის პაოკ-მა, რომელმაც ათენში ფრედ ითამაშა „პანათინაიკოსთან“. ჩემპიონი და თასის მფლობელი, ათენის აეკ-ი, იმის მიუხედავად, რომ კორინთოში მოუგო 1:0 ადგილობრივ „კორინთოსს“, 7 ტურის შემდეგ 7 ქულით მხოლოდ X ადგილზეა.

უნგრეთი

XIII ტურს მიმომხილველებმა ფრეების ტური უწოდეს. ასეთი შედეგით დასრულდა 5 მატჩი. დამარცხდა „ვიდეოტონი“, რომელიც მანამდე ლიდერობდა. მას სძლია „ზალაეგერსეგმა“ — 3:2.

XIII ტურის შემდეგ 18 ქულით წინაა ბუდაპეშტის „ჰონვედი“. მას თითო ქულით ჩამორჩებიან „ვიდეოტონი“ და ბუდაპეშტის „ფერენცვაროში“. 16 ქულა აქვს ბუდაპეშტის „ვაშაშს“.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურულ მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 02472